

საქართველოს ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




K 110.896/3

ქუჩანდოე
თბილისის
ხანძრობოე
ქუჩოე



თბილისი - 1963



K 110-896
3

საქართველოს დედაქალაქი — თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანია. შორეულ წარსულშივე წარმოადგენდა იგი საქართველოს უდიდეს პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ ცენტრს. ძველთაგანვე განთქმულია იგი აგრეთვე თავისი გოგირდიანი წყაროებით.


თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ისტორია მკიდროდაა დაკავშირებული ქალაქის წარმოშობასთან და შემდგომ განვითარებასთან. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა რამ ვთქვათ თვით თბილისის შესახებ.

თბილისის დაარსების ზუსტი თარიღის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

არქეოლოგები მ. ჯანაშვილი და ი. პროცენკო თბილისის დაარსების თარიღად მიიჩნევენ მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარს, აკადემიკოსები ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და პროფ. მელიქსეძეები კი — მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარს. ისტორიკოსების პ. იოსელიანისა და დ. ბაქრაძის მოსაზრებით, თბილისი მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს დაარსებული. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ თბილისში ციხე-სიმაგრე აგებულია ქართლის მეფის რევაზ ბაკურის დროს, ე. ი. IV საუკუნის მეორე ნახევარში (ჩვენი წელთაღრიცხვით).

თბილისი როგორც ციხე-ქალაქი პირველად იხსენიება IV საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც სპარსელებმა თავიანთი პოლიტიკური გავლენა დაამყარეს აღმოსავლეთ საქართველოში.

368 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვარაზ ბაკურის დროს ირანის შაჰის პიტიახშმა (ერისთავი) თავის რეზიდენციად აირჩია გამაგრებული ქალაქი თბილისი, რომელიც ადმინისტრატიული, სამხედრო-სტრატეგიული და სამეურნეო



თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელ ადგილად მიაჩნდა და აქედან ადევნებდა თვალყურს აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების მოქმედებას. ქართველი მეფეების რეზიდენციას ამ პერიოდში წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა.

ქალაქის სახელწოდება „თბილისი“ უდავოდ დაკავშირებულია გოგირდის შემცველ თბილ წყაროებთან, რომლებიც დღესაც არსებობს ქალაქის უძველეს რაიონში. თბილისის წარმოშობის შესახებ არსებულ ისტორიულ მასალებს რამდენადმე ავსებს სხვადასხვა თქმულებები და გამოცემები.

თბილისში სხვადასხვა საამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალების მიხედვით დასტურდება, რომ დღევანდელი თბილისის ტერიტორიაზე ძველთაგანვე უცხოვრია ხალხს და დროთა განმავლობაში ისე მომრავლებულა, რომ უკვე მეოთხე საუკუნის ნახევრიდან მნიშვნელოვან ციხე-ქალაქად ქცეულა.

ჩვენ დრომდე მოღწეული ერთი ლეგენდის მიხედვით თბილისის დაარსება დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოს სახელგანთქმული მეფის ვახტანგ გორგასალის სახელთან (V საუკუნე). თქმულება გადმოგვცემს, რომ „ერთხელ მეფე ვახტანგი ნადირობდა; აფრენილ ხოხობს მან მიმინო დაადევნა, მაგრამ მალე ორივე დაეკარგა მხედველობიდან. როდესაც მეფე წავიდა მათ საძებნელად, ორივე მოხარშული იპოვა ცხელ წყაროში, რომელსაც გოგირდის სუნი ასდიოდა.

ამ წყაროებმა და ბუნებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე, ისე მოხიბლა იგი, რომ განკარგულება გასცა ამ ადგილზე აშენებინათ ქალაქი და მისთვის თბილისი ეწოდებინათ. შემდეგში მას აქ გადმოუტანია თავისი რეზიდენცია“.

მეორე თქმულებით, „საქართველოს ერთ-ერთი მეფე ერთხელ ტყეში ნადირობდა; მან დაჭრა ირემი. დაჭრილმა ცხოველმა, რომელიც სისხლიდან იცლებოდა, მიაშურა ერთ-ერთ თბილ გოგირდოვან წყაროს, რომელთა რიცხვი მრავალი იყო იმ ადგილას, მოიბანა ამ წყაროში თავისი ჭრილობა და მიიღო სრული განკურნება ჭრილობისაგან, შემდეგ კი გაჰქრა იმ ად-

გილიდან. მეფემ დაათვალიერა ის წყარო და, დარწმუნდა, რა მის სამკურნალო თვისებებში, ბრძანა, რათა დაესახელებინათ ეს ადგილი და მიეცათ მისთვის სახელწოდება „თბილისი“.

ეს თქმულებები იმ მხრივ შეესატყვისება სისწორეს, რომ ქალაქის სახელწოდება „თბილისი“ მართლაც თბილ წყაროებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომლებითაც ცნობილი ყოფილა ეს ადგილი იმ დროისთვის. ისიც ნამდვილია, რომ სპარსელების მიერ მრავალჯერ დანგრეულ-აოხრებული თბილისი მეფე ვახტანგ გორგასალმა მეოთხე საუკუნის შუა პერიოდში აღადგინა და აღმოსავლეთ საქართველოს სატახტო ქალაქად მოამზადა. რა თქმა უნდა, სწორი არაა აზრი, თითქოს თბილისის აშენება პირველად ვახტანგ გორგასალს დაეწყო, მით უმეტეს, რომ მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში, ე. ი. ვახტანგის გამეფებამდე ერთი საუკუნით ადრე, თბილისი უკვე ციხე-ქალაქად იყო ცნობილი. აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვარაზ ბაკურის დროს სატახტო ქალაქი იყო მცხეთა და, როგორც უკვე ითქვა ზევით, სპარსეთის პიტიასშმა აირჩია თბილისი თავის სამყოფელ ქალაქად.

ფრიად სანდო ცნობას იძლევა მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე, რომელიც აღნიშნავს, „ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ თბილისი იყო“.

სტრაბონის ცნობით, თბილისის გოგირდის აბანოები ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იყო ცნობილი.

თბილისის შედარებით ვრცელ აღწერილობას ვხვდებით არაბი გეოგრაფის იბნ ჰაუ კალის (X საუკუნე) ნაწარმოებში. ავტორი აღნიშნავს: „...იქ არის აბანოები, სადაც წყალი უცეცხლოდ დუღს“...

მეექვსედან მეათე საუკუნემდე თბილისი განუწყვეტლივ განიცდიდა მტრების თავდასხმებს და ხელიდან ხელში გადადიოდა, არა ერთხელ განადგურებულა იგი ცეცხლით და ნანგრევებად ქცეულა სპარსელების, ხაზარების, ბერძნებისა და არაბების შემოსევების ჟამს, მაგრამ, როგორც სომეხი მემატიანე უხტანესი (955 წ.) ამბობს (რომელიც თბილისს უწოდებს საქართველოს „დიდებულ დედა-ქალაქს... განსაცვიფრებლად ნაგებს, საუცხოოსა და საკვირველს“), „მას ყოველთვის აღა-

დგენდნენ ხოლმე იმავე ადგილზე და მოკლე ხნის განმავლობაში და ის ისევ საქართველოს დიდ სატახტო ქალაქად იქცეოდა“.

როგორც ცნობილია, განსაკუთრებით აყვავდა ეს ქალაქი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს.

მეცამეტე საუკუნიდან მეჩვიდმეტემდე კი (მცირე შუალედებით) თბილისი კვლავ უცხოელ მიმტაცებელთა ხელში იყო. ერთმანეთს ცვლიდნენ დამპყრობი სპარსელები, მონღოლები, თურქები, სელჯუკები და თბილისქალაქი საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა ნგრევის, აღდგენისა და კვლავ ნგრევის პროცესს. შაჰ-აბაზის მიერ სასტიკად განადგურებული ქალაქი ხელახლა აღადგინა აღმოსავლეთ საქართველოს მეფე როსტომმა. მინერალური წყლების მახლობლად მან სასახლეც კი ააგო. აღადგინა სააბაზანოები, რომლებიც შაჰ-აბაზის მიერ დალაშქვრისას ქალაქთან ერთად დაინგრა და მაინც „ფენიქსებრ განახლდა“ იგი. უკანასკნელ, სპარსეთის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა „იჯერა გული მისი დაქცევით“. ცნობილია, რომ ალა-მაჰმად-ხანს არა მარტო პოლიტიკური მიზნით სურდა თბილისის ხელში ჩაგდება. იგი „სნეული კაცი“ იყო და, რაკი იცოდა თბილისის გოგირდიანი მინერალური წყლების აბაზანების მაღალი სამკურნალო თვისება, განვიკურნებო — ფიქრობდა.

მეხუთედან მეთვრამეტე საუკუნემდე 16-ჯერ განიცადა თბილისმა აოხრება-აწიოკება. 1795 წელს ქალაქი ლამის მიწასთან გაასწორა ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარმა. შაჰმა მართლაც მიიღო თბილისის მინერალური წყლების რამდენიმე აბაზანა, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ აბაზანები მას სქესობრივი ცხოვრების უნარს ვერ დაუბრუნებდა (იგი კასტრირებული იყო ნადირ შაჰის მიერ), „ბრძანა დაენგრიათ აბანოები“.

თბილისის ცხელი წყაროები მათთან მოწყობილი აბანოებით ნახსენები აქვს მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილ ქართველ მეცნიერ ვახუშტი ბაგრატიონს.

თბილისის ერთ-ერთი პირველი აღმწერი ცნობილი გეოგრაფი ალისტრახი აღნიშნავს: „თბილისში აბანოებია, რომლებშიც უცეცხლოდ ცხელი წყალია“. ცხადია, იგი თბილისის თერმულ და ჰიპერთერმულ წყლებზე ლაპარაკობს. უკვე ხსე-

ნებული არაბი გეოგრაფი იბნ ჰაუ კალი, რომელსაც მეათე საუკუნეში (977 წ.) უმოგზაურია საქართველოში, წერს თავის „გზათა წიგნში“: „ქალაქი თბილისი წარმოადგენს თვალსაჩინო მოსაზღვრე ოლქს, რომელსაც მტერი ყველა მხრიდან არტყია. აქ არის აბანოები იმის მსგავსი, როგორც ტივერტიაში (გალილეის ქალაქი)“.

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში (1672 წ.) თბილისის აბანოები აღწერა ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა. იგი აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისში... ყველანი ცხელი წყლის აბანოებში დადიან. ამ აბანოების წყალი მინერალურია, გოგირდიანია და ძალიან ცხელი. ამ აბანოების წყლით მოსარგებლე სხვადასხვა ავადმყოფთა რიცხვი მხოლოდ საბანაოდ და სისუფთავისათვის მოსულ პირთა რიცხვზე ნაკლები არ არისო“. შარდენის ნათქვამი გვანიშნებს, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლების აბაზანები ცნობილი იყო როგორც სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალო საშუალება.

ჩვენი დიდი მეცნიერი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „სრულებით ბუნებრივია, რომ ადამიანს სამკურნალო წყლებთან ყურადღება პირველად სწორედ ცხელი წყლებისათვის მიეპყრო, ამგვარად გასაკვირველი არაფერია, რომ ყველაზე ადრე თბილისის ცხელი წყლების აბანოების შესახებ გვხვდება ცნობები ჩვენ გეოგრაფიულსა და საისტორიო მწერლობაში“.

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში (1636 წ.) თბილისს ეწვია რუსი მოგზაური ვასილ გაგარა, რომელიც აღნიშნავს: „სიმაგრეს, რომელიც გორაზეა, გარს არტყია ბუნებრივი თხრილი. ამ ადგილას კლდე გაბობილია, წყალი აქ ცხელი წყაროებიდან ამოდის. ასეთი ცხელი წყაროები აქ სამოცზე მეტია. ამ წყაროებზე გამართულია მშვენიერი შენობები“.

მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონი თავის საქართველოს გეოგრაფიაში წერს: „თბილისის დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბაზანი ექვსი და დიდშენნი ავაზიანნი, მარად მომდინარე ცხელი წყლით აქ თაბორს ყოფილა ციხე... თბილისი ჰავითა არს მშვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი, გარემო ქალაქისა წალკოტნი და

სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე. ვარნა ქალაქი ვიწრო... ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარი გრილი, გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სანატორიო. სანადირონი მრავალნი ახლოს ფრინველთა და ნადიროთა...

რუსეთის აკადემიამ მეთვრამეტე საუკუნის ნეორე ნახევარში (1771 წ.) კავკასიაში და კერძოდ საქართველოშიც სამეცნიერო მიზნით მოავლინა აკადემიკოსი გილდენშტედტი, რომელიც აღნიშნავს თბილისში მხოლოდ ხუთი აბანოს არსებობას. მან გააკეთა თბილისის მინერალური ცხელი წყლების ქიმიური ანალიზი და დაადგინა მისი მთავარი შემადგენლობა, ე. ი. გოგირდიანობა. მისი ცნობით, თბილისის თერმულ გოგირდიან წყლებს იმ დროს მხოლოდ საბანაოდ და თეთრეულის სარეცხად იყენებდნენ, და თითქოს მისი მითითებით დაიწყო პირველად ამ წყლების გამოყენება ქარებისა და სახსრების სამკურნალოდ. რა თქმა უნდა, გილდენშტედტის ნათქვამი სისწორეს არ შეეფერება. ვიმეორებთ, ჯერ კიდევ შარდენი (ერთი საუკუნით ადრე) აღნიშნავდა თბილისში ცხელი გოგირდიანი წყლებია და ამ წყლის მომხმარებელთა შორის სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ მოსულ პირთა რაოდენობა მხოლოდ საბანაოდ და სისუფთავისათვის მოსულ პირთა რიცხვზე ნაკლები არ არისო. ე. ი. მოსახლეობამ დიდი ხნით ადრე იცოდა, რომ თბილისის წყლები გოგირდის შემცველი იყო და კიდევაც იყენებდა მას სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

თბილისის გოგირდიანი წყაროები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კერძო მესაკუთრეთა ხელში იყო და უპირატესად მოგების ინტერესებს ემსახურებოდა. ბუნებრივია, ამ აღამიანთ სრულებით არ აინტერესებდათ დიდი სახალხო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ძვირფასი სამკურნალო წყაროების კეთილმოწყობა და მათი გამოყენება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

თბილისის გოგირდიანი წყაროებით განსაკუთრებული დაინტერესება აღინიშნება მეცხრამეტე საუკუნეში. როგორც თანამემამულე, ისე საზღვარგარეთელმა მკვლევარებმა და მოგზაურებმა მეტად საინტერესო მასალები დაგვიტოვეს შთაბეჭდილებათა თუ რჩევა-სურვილთა სახით. მათ შორის არ შეიძ-



ლება არ მოვიხსენიოთ პაროტი, დელაპორტი, ტურნეფორტი, დიუბუა და სხვ.

პროფესორმა დელაპორტმა, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით 1807—1808 წლებში, დაათვალიერა ალა-მაჰმად-ხანის ბარბაროსული შემოსევის შედეგად დანგრეული ქალაქი, მისი აბანოები და აღნიშნა: „სახელგანთქმული თბილისის აბანოები ოდესღაც დიდებულად ყოფილა მოწყობილი, ახლა დანგრეულია. მათი წყალი გოგირდის მცირე რაოდენობას შეიცავს... მეტად მარგებელია; თბილისში ყოფნის დროს კვირაში ორჯერ დავდიოდი აბანოში და ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს“.

„თბილისში საღი ჰავაა და საუცხოო მინერალური წყლებია“, — წერს თავის დღიურში რუსეთის საელჩოს წარმომადგენელი ა. ნეგარი.

1833 წ. თბილისს, არზრუმს მიმავალი, გავლით, ესტუმრა დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი; მან ინახულა თბილისის გოგირდიანი წყლები და აბაზანის მიღების შემდეგ ასე გამოთქვა თავისი აღტაცება: „ჩემს სიცოცხლეში არაფერი შემხვედრია თბილისის აბანოებზე უმშვენიერესი არც რუსეთში და არც ოსმალეთში“.

გაზეთი „კავკაზი“ (1847 წ. 18. X) იტყობინება — თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ქირურგი პიროგოვი, რომელიც აღნიშნავს: „ოქტომბრის დამლევს ჩამოვედით თბილისში. შემოდგომა ყველაზე უკეთესი დროა თბილისში; მთიან ტერასებზე ამფითეატრად გაშენებული, მაღალნაპირებიანი მტკვრის მიერ გაყოფილი თბილისი წარმტაცი და ორიგინალურია; შესანიშნავია, რომ აქ მცხოვრებლებმა არ იციან არავითარი სხვა აბანოები, გარდა გოგირდიანი წყლის აბანოებისა, რომლებიც უხვადაა თბილისში“.

საქართველოს ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ქართველი მეფის როსტომის თბილისის სასახლის აღწერისას (1866 წ.) აღნიშნავს: „თვით სასახლის ბაღში პატარა შენობა შეიცავდა აბანოს მინერალური წყლით, რაც თიხის მილებით იყო გამოყვანილი თბილისის მინერალური წყლების საერთო საცავიდან. მილები გადებული იყო მთავარ ბაზარზე და სიო-

ნის ქუჩაზე. თვითონ სააბაზანოს იატაკი მოგებული იყო მარ-
მარილოს ფილაქნებით“. აქედან ჩანს, თუ რამდენად კეთილ-
მოწყობილი და ტექნიკურად გამართული ყოფილა ამ მუშა-
ოღში ეს სააბაზანო.

კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით თბილისის მინერალუ-
რი წყაროების შესწავლისა და მათი რაციონალური გამოყე-
ნების ღონისძიებათა დასახვის მიზნით 1866 წ. შედგა კომისია
მსოფლიოში ცნობილ გეოლოგ აკადემიკოს აბიხის ხელმძღვა-
ნელობით. კომისიამ შეიმუშავა მეტად მნიშვნელოვანი ღონის-
ძიებები აბაზანების მშენებლობისა და მინერალური წყლის
სამკურნალოდ გამოყენების შესახებ. კომისიის წინადადება,
რომ ყველა მინერალური წყარო ერთი საერთო გამგებლობის
ქვეშ მოექციათ და სამკურნალო მიზნით გამოეყენებინათ, გაი-
ზიარა თბილისის გუბერნიის ექიმმა კარპოვიჩმა, მაგრამ მეფის
მთავრობამ ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა. ასეთი ღონის-
ძიება ხელსაყრელი არ იყო თბილისის ქალაქის თვითმმართვე-
ლობის წევრებისათვის, რომლებიც მინერალური წყაროების
კერძო მესაკუთრეები იყვნენ და შემოსავლის სახსარს დაკარ-
გავდნენ.

აღნიშნული კომისიის დადგენილებისა და კერძოდ აბიხის
წინადადების გამოქვეყნების შემდეგ საკითხი თბილისის ბალ-
ნეოლოგიური კურორტის დაარსებისა და მინერალური წყარო-
ების სახელმწიფოს ხელში გადაცემის შესახებ დღის წესრიგი-
დან არ მოხსნილა. ეს საკითხი გახდა საექიმო და ტექნიკური
თათბირების, სხდომების, კომისიებისა და პრესის მსჯელობის
საგანი. (მ. ნოდია).

იმ დროის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების
მონაწილეობით და ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკო-
ლაძის ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა თბილისის ბალნეო-
ლოგიური კურორტის ორგანიზაციის პროექტის სხვადასხვა
ვარიანტი, მაგრამ საქმის რაციონალურად წარმართვას აფერ-
ხებდა ორი მიზეზი: პირველი ის, რომ ქალაქ თბილისის თვით-
მმართველობას არ გააჩნდა სათანადო ფინანსური სახსრები
წყაროებისა და ბალნეოლოგიური ზონის კერძო მესაკუთრეთა-
გან გამოსასყიდად, ხოლო მეორე და მთავარი მიზეზი, როგორც

აღვნიშნეთ, ის იყო, რომ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა ხელსაყრელი არ იყო თბილისის ცენტრების კერძო მესაკუთრეთათვის, რომლებიც ამავე დროს თბილისის ქალაქის თვითმმართველობის წევრები იყვნენ და ქალაქის ბედ-იღბალს განაგებდნენ.

1888 წ. ნიკო ნიკოლაძემ კვლავ დასვა საკითხი გოგირდიანი წყაროების შესახებ. ისევ გამოიყო კომისია, რომელმაც ამავე დროს შეადგინა თბილისში ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობის პროექტი, მაგრამ ამ წინადადებასაც იგივე ბედი ეწია, რაც პირველი კომისიის დადგენილებას და იმავე მიზეზების გამო, რომლებიც ზევით იყო მოყვანილი.

ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური დახასიათება

თბილისის მიდამოების რელიეფი მეტად მრავალფეროვანია. მტკვრის ხეობაში გაშენებული ქალაქი ჩრდილოეთიდან (დაახლოებით 100 კმ მანძილზე) დაცულია კავკასიონის მთავარი ქედით და მისი მარადთოვლიანი მწვერვალებით. მისგან დასავლეთით გადაჭიმულია სურამის ქედი. იგი საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ჰყოფს და ამავე დროს კავკასიონის მთავარ ქედს მესხეთის ქედთან აერთებს. თრიალეთის ქედის შტოები, რომლებითაც შემოზღუდულია თბილისის მიდამოები სამხრეთ-დასავლეთიდან, იწყება ბორჯომიდან და ერთი შტო მიიმართება ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხეთამდე, ხოლო მეორე კი ბოლოვდება სოღანლულის მთაგრეხილის სახელწოდებით. სამხრეთ-აღმოსავლეთით თბილისის ტერიტორია ღიაა (ყარაია-აზერბაიჯანის ველი) თვით კასპიის ზღვამდე.

უშუალოდ ქალაქს და მისი ბალნეოლოგიური ზონის ტერიტორიას აღმოსავლეთით მახათის მთა აკრავს, დასავლეთით — მთაწმინდა, სამხრეთით სოლოლაკის ქედი, ჩრდილოეთით საბურთალო-დიდმის ქედი. ქალაქი გაშენებულია ბუნებრივ ქვაბულში, ზღვის დონიდან 410—500 მეტრის სიმაღლეზე.

ასეთი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები განაპირობებს

თბილისის ჰავის თავისებურებებს; მის კლიმატზე გავლენას ახდენს აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანის მშრალი და სამხრეთიდან ახალქალაქის ზეგანის კონტინენტური, დასავლეთიდან ტენიანი და ჩრდილოეთიდან კი მარადთოვლიანი კავკასიონის ქედის ცივი ჰავის ელემენტები. ამრიგად, თბილისის ჰავის ფორმირებაში უშუალო მონაწილეობას ღებულობს მშრალი (აღმოსავლეთის ტრამალის), დასავლეთის (შავი ზღვის) ტენიანი და ჩრდილოეთის ჰავის ცივი ელემენტები, რაც ერთობლიობაში განაპირობებს ცხელი ზაფხულისა და ზომიერად ცივი ზამთრის პირობებს. ეს კი საკმაოდ ხელსაყრელია ბალნეოთერაპიის მაღალი ეფექტიანობისათვის. ასეთ კლიმატურ პირობებში შესაძლებელია თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ფუნქციონირება მთელი წლის განმავლობაში.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ჩატარებულ მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მასალების მიხედვით თბილისში ჰაერის საშუალო ტემპერატურა უდრის $12,6^{\circ}$, შეფარდებითი ტენიანობა — 65% , ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ 517 მილიმეტრია, ღრუბლიანი დღეები რაოდენობა 115, ნათელ და ნახევრად ნათელ დღეთა რაოდენობა საშუალოდ 260-მდე აღწევს. ქალაქის ტერიტორიაზე გაბატონებულია სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარები, საშუალოდ სამი მეტრის სისწრაფით წამში (ბალნეოლოგიური კურორტის რაიონში — $1,2$ მ/წ). ყველაზე უფრო ცხელი თვის (ივლისი) საშუალო ტემპერატურა უდრის $24,1^{\circ}$, ყველაზე ცივი თვისა (იანვარი) კი $+1,2^{\circ}$. მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც დაკვირვება ტარდება მეტეოროლოგიურ ელემენტებზე, თბილისში ჰაერის მაქსიმალურ ტემპერატურას მხოლოდ ერთხელ მიუღწევია 40° -მდე (1913 წლის ივლისში) და მინიმალური კი მხოლოდ ერთხელ დასულა $-18,4^{\circ}$ -მდე (1935 წლის 3 იანვარს თოვლიან დღეთა რიცხვი საშუალოდ აღწევს 15,9 მზის ნათების ხანგრძლიობა წელიწადში საშუალოდ 2180 საათს შეადგენს. მზის ნათება ყველაზე უფრო ხანგრძლივია ივლისში და 9,1 საათს აღწევს, მზის ნათების მინიმალური ხანგრძლიობა დეკემბრის თვეზე მოდის და საშუალოდ 3,1 საათს უდრის; საშუ-

ალოდ კი წლის განმავლობაში მზის ნათების ხანგრძლიობა უდრის 6 საათს.

ამრიგად, თბილისის ჰავა ეკუთვნის შედარებით კონტინენტურს და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ცხელი ზაფხულითა და შედარებით თბილი ზამთრით ხასიათდება, რაც ხელს უწყობს ბალნეოლოგიური მკურნალობის მაღალეფექტიანობას მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი სახსრების სხვადასხვა ეტიოლოგიის დაავადებათა, აგრეთვე პერიფერიული ნერვული სისტემის (ნევრიტები, ნევრალგიები, პლექსიტები, რადიკულიტები) და სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესების დროს. აღნიშნულ დაავადებათა მკურნალობა უფრო ეფექტიანია წლის ცხელ და თბილ თვეებში. ხოლო გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და ჰიპერტონიული სნეულების მკურნალობა კი უფრო მიზანშეწონილია ჩატარდეს არა ცხელ თვეებში (ივლის-აგვისტოს გამორიცხვით).

თბილისის მინერალური წყაროები და მათი ჰიდროგეოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება

ცხადია, რომ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მინერალური წყლები. როგორც ზევით აღვნიშნეთ, თბილისის მინერალური წყლები შორეული წარსულიდანვე ემსახურება ხალხს, მაგრამ საფუძვლიანი მეცნიერული გეოლოგიურ-გეოქიმიური გამოკვლევა ამ მიზნით მათი გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოგვცა ცნობილმა აკადემიკოსმა აბიხმა. შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდი მკვლევარის დასკვნებს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მართალია, შემდეგშიც, კერძოდ 1911 წ. კავკასიის სამთო სამმართველომ კიდევ ერთხელ ჩატარა გეოლოგიური გამოკვლევა, მაგრამ თბილისის მინერალური წყლების საბადოების რაიონის ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროქიმიური გეგმიური

მეცნიერული შესწავლა ფართოდ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიშალა.

1932 წლისათვის აღრიცხული იყო თბილისის მინერალურ წყალთა 35 გამოსავალი დღე-ღამეში 1.300.000 ლიტრი დებიტით. ამ გამოსავალთა შორის აღინიშნებოდა ცივი წყლების ხუთი გამოსავალი. წყაროების გამოსავლები მოქცეული იყო თბილისის ახლანდელი ბალნეოლოგიური კურორტის მცირე ზონაში, აქედან მხოლოდ ორი წყაროს გამოსავალი (ე. წ. ჩითახევისა და გოგილოსი) მდებარეობდა მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე, დანარჩენი კი გაფანტული იყო მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

თბილისის მინერალური წყლების გენეზისის შესწავლის მიზნით ჩატარებულ სამუშაოთა შედეგად მოპოვებული მონაცემების საფუძველზე აკადემიკოსი ი. კაჭარავა გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ მინერალური წყლის ცირკულაციის სიღრმე დაახლოებით 1200 — 1300 მეტრით განისაზღვრება.

1933—1935 წლებში საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის და ამიერკავკასიის გეოლოგიური სამმართველოს მიერ ჩატარებული საკვლევო-საძიებო ჰიდროგეოლოგიური დაზვერვითი საუშუაოების შედეგად სამი ბურღილიდან (თითოეულის სიღრმე 110 მეტრი) ორმა ბურღილმა (№ 1 და № 2) მოგვცა 850.000 ლიტრი მინერალური წყალი დღე-ღამეში (მესამე ბურღილმა წყლის თვითდენი არ მოგვცა). მინერალური წყლების რაიონში სხვადასხვა წყაროების წონასწორობის დადგენის შედეგად საერთო დებიტი ამ რაიონში დამყარდა 1.800.000 ლიტრი დღე-ღამეში.

ახალი ბურღილებით მიღებული მინერალური წყლის ბაზაზე აშენდა თბილისის მომავალი დიდი ბალნეოლოგიური კურორტის პირველი სააბაზანო შენობა. ამ სააბაზანოს მშენებლობა დამთავრდა 1937 წლის ბოლოს და იგი ექსპლოატაციაში ძირითადად 1938 წლის დასაწყისიდან გადაეცა. ჩატარებული მუშაობა უნდა ჩაითვალოს თბილისის ბალნეოლოგიური რესურსების წესრიგში მოყვანის დიდ სამუშაოთა დასაწყისად. ამ სამუშაოთა ჩატარების შედეგად მხოლოდ ორი წყარო (№ 1 და № 2 ბურღილები) მუშაობდა ნორმალურ პირობებში. მინე-

რალური წყლის დანარჩენი წყაროები კი ბუნებრივი გამოსავლების სახით დარჩა მოძველებული საკაპტაჟე ნაგებობებით მიწისქვეშა ხვრელებით და სხვ. ასეთი მდგომარეობის გამო ამ წყაროების წყლები არ იყო დაცული გაბინძურებისაგან, სასაღვლეამისო დებიტის მერყეობისაგან (მინერალური წყლის საგრძნობი რაოდენობის სისტემატური დაკარგვის გამო). ამასთან ერთად ძნელდებოდა მინერალური წყლების მიზანშეწონილი ექსპლოატაცია სხვადასხვა წყაროს წყლების ტემპერატურათა დიდი სხვადასხვაობისა და ამ წყაროთა ფართო ტერიტორიაზე განლაგების გამო.

მინერალური წყლების გამოყენების რაციონალური მოწესრიგებისა და აგრეთვე მათი საერთო დებიტის და ტემპერატურის გაზრდის მიზნით 1945 წლიდან საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტთა სამმართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეუდგა ფართო ჰიდროგეოლოგიურ საძიებო და საექსპლოატაციო სამუშაოების ჩატარებას. აღნიშნულ სამუშაოთა მიზანს შეადგენდა ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე გაფანტული სხვადასხვა ტემპერატურის მქონე მინერალური წყაროების გამოსავლების შეკრება რამდენიმე ღრმა ბურღილის საშუალებით, რამდენიმე ადგილზე მათი დაკაპტაჟება და ამით წყლის დაცვა გაბინძურებისაგან.

გეგმის მიხედვით გაყვანილ იქნა 100 — 250 მ სიღრმის ხუთი ბურღილი. ბურღვით სამუშაოებთან ერთად მიმდინარეობდა მიღებული მინერალური წყლების ქიმიური, რადიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური შესწავლა და აგრეთვე სხვა სისტემური რეჟიმული დაკვირვებები (დებიტზე, ტემპერატურაზე და სხვ.).

ზევით აღნიშნული ხუთი ბურღილის გაყვანის შედეგად თბილისის მინერალური წყაროების (ბურღილების ჩათვლით) საერთო დებიტი დღე-ღამეში 3.000.000 ლიტრამდე გაიზარდა.

ერთ-ერთი ბურღილიდან (№ 6 — რაიონის ღრმა პორიზონტების სადაზვერვო ბურღილი, სიღრმით 250 მეტრი) მიღებულ იქნა შედარებით დაბალი ტემპერატურისა (27°) და მაღალი მინერალიზაციის (0,75 გ 1 ლიტრში) წყალი, მაგრამ სხვა წყა-

როებთან შედარებით გოგირდწყალბადის მაღალი შემცველობით (40 მგ 1 ლიტრ წყალში) და საგრძნობლად მაღალი დებიტით (600.000 ლ დ/დ).

ამ წყალს ქიმიური შემადგენლობის მიხედვით უნდა მოეცა მეტი სამკურნალო ეფექტი ზოგიერთ დაავადებათა მკურნალობის დროს; სამწუხაროდ, არ მოხერხდა ამ წყაროს შენარჩუნება და დღეისათვის იგი უმოქმედოა — არ იძლევა დებიტს. ვფიქრობთ, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება ამ ბურღილის წყლის აღდგენა სათანადო ჰიდროგეოლოგიურ ღონისძიებათა ჩატარების შედეგად, რაც უფრო გაამდიდრებს თბილისის ბალნეოთერაპიულ მნიშვნელობას.

ჩატარებული მრავალრიცხოვანი ქიმიური ანალიზების შედეგად დადგენილია, რომ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიის ახლო მიდამოებში არსებული მინერალური წყლები მიეკუთვნება თერმულ, ჰიპერთერმულ ჰიდროსულფიდურ სულფატურ წყლებს. ამ წყლების საერთო მინერალიზაცია მერყეობს 0,3—0,4 გ ფარგლებში (1 ლ წყალში) და ტემპერატურა კი 37—46,5° შორის. ანიონებიდან ამ წყლებში წამყვანი ადგილი უკავია ქლორს, სულფატს და ჰიდროკარბონატიონებს (თითქმის თანაბარი რაოდენობით), ხოლო კათიონებიდან — ნატრიუმის, თუმცა ეს წყლები საგრძნობი რაოდენობით შეიცავს აგრეთვე კალციუმისა და მაგნიუმის იონებს.

თბილისის მინერალური წყლების ბალნეოთერაპიულ მნიშვნელობას ამაღლებს სტრუქტურის მიერ 1876 წ. მათ შემადგენლობაში აღმოჩენილი კოლოიდები — ეგრეთწოდებული გლერინი და ბარეჟინი, რაც შემდგომ დადასტურებულია ქიმიკოს ციციშვილის გამოკვლევებით, რომელმაც აღმოჩენილ კოლოიდურ ნივთიერებას „თბილისინი“ უწოდა. ამ კოლოიდებში შედის სილიციუმი (რომელსაც ბალნეოლოგიაში განსაზღვრულ დადებით მნიშვნელობას ანიჭებენ), გოგირდი და მიკროორგანიზმები, რომლებიც დედამიწის წიაღიდან ამოდის და აძლიერებს მინერალური წყლის ბიოლოგიურ აქტივობას. ამ წყლების ბალნეოლოგიურ ღირებულებას ამაღლებს აგრეთვე მცირეოდენი რადიოაქტივობა და ნიკელის შემცველობა (კვალის სახით).

აღსანიშნავია, რომ კოლოიდური ნივთიერებები, რომელ-
თაც ბალნეოთერაპიაში განსაზღვრული სამკურნალო მნიშვნე-
ლობა ეძლევა, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღმოუჩენი-
ლონგშაპს ბარეჟის თერმულ-გოგირდიან წყლებში (საფრან-
გეთი).

მკვლევართა მიერ ჩატარებულ მრავალრიცხოვან ექსპერი-
მენტულ და კლინიკურ დაკვირვებათა შედეგად დადგინილ იქ-
ნა თბილისის მინერალური წყლების მაღალი თერაპიული
ეფექტიანობა მთელ რიგ დაავადებათა მიმართ; ამ დაკვირვე-
ბათა შედეგები საფუძვლად დაედო აღნიშნული მინერალური
წყლების სამკურნალოდ გამოყენების მეთოდისას — პროცე-
დურების დოზირებას და მკურნალობის ჩვენება-წინააღმდეგ-
ჩვენებათა ჩამოყალიბებას.


პროფ. ი. ცინცაძისა და ნ. ანდრონიკაშვილის მიერ ჩატარე-
ბულ დაკვირვებათა მიხედვით, სახსრების დაავადების დროს
თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების გავლე-
ნით უმეტეს შემთხვევაში აღინიშნება სააბაზანო რეაქცია, რო-
მელიც ნაზია და უმთავრესად ტკივილის გამწვავებით იჩენს
თავს. ავტორების აზრით, ასეთი რეაქცია დადებითი მოვლენაა
და მას თან სდევს კარგი თერაპიული ეფექტი. თბილისის თერ-
მული გოგირდიანი წყლის აბაზანებით მკურნალობის კურსი
არ უნდა აღემატებოდეს 20 პროცედურას.

ნ. ცხომელიძის მიერ ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგად
დადგინდა, რომ რევმატული პოლიართრიტით დაავა-
დებულებში (რემისიის ფაზაში) თბილისის თერმული გოგირ-
დიანი წყლის აბაზანები უმეტეს შემთხვევაში საერთო კლი-
ნიკურ გაუმჯობესებასთან ერთად იძლევა ქერქოვანი პროცე-
სების ნორმალიზაციას.

პროფ. ა. აბულაძემ და თ. უგულავამ ჩატარეს დაკვირვება
სხვადასხვა ეტიოლოგიის ინფექციური პოლიართრიტების
დროს ჟანგვა-აღდგენით პროცესებზე თბილისის თერმული
გოგირდიანი წყლის აბაზანების გავლენის შესასწავლად (დაკ-
ვირვების ქვეშ იმყოფებოდა 33 ავადმყოფი). დაკვირვებათა
შედეგად ავტორებმა დაასკვნეს, რომ თბილისის თერმული გო-
გირდიანი წყლის აბაზანები ასეთ შემთხვევაში მაღალ თერაპი-

2. შ. მშვენიერაძე

კ. 110. 896



ულ ეფექტს იძლევა, კერძოდ, უმჯობესდება ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი პროცესები.

ვ. მახარაძის დაკვირვებათა მიხედვით (50 ავადმყოფი) თბილისის გოგირდიანი წყლების აბაზანები კარგ შედეგს იძლევა ქრონიკული ართრიტებით დაავადებულთა მკურნალობისას (როგორც სუბიექტურად, ისე ობიექტური მონაცემების მხრივ). უმჯობესდება აგრეთვე გულის მუშაობა, კლებულობს სისხლის მომატებული წნევა, ხოლო ნორმალური კი უცვლელად რჩება.

თ. კაკაბაძემ ჩაატარა დაკვირვება თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანებით არასპეციფიკური ინფექციური პოლიართრიტით დაავადებულთა მკურნალობის ეფექტიანობაზე და აგრეთვე ამ წყლის აბაზანების გავლენაზე ღვიძლის ზოგიერთ ფუნქციაზე. ავტორი დაასკვნის, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების გავლენის შედეგად უმეტეს შემთხვევაში მიიღება განსაზღვრული თერაპიული ეფექტი როგორც საერთო მდგომარეობის, ისე ადგილობრივი პათოლოგიური პროცესის მხრივ — ქრება ან მცირდება ტკივილი და ექსუდატური მოვლენები სახსრებში, პერიარტიკულარულ ქსოვილებში, მატულობს მოძრაობის მოცულობა, ნორმალისდება ტემპერატურა, ედრ ნორმას უბრუნდება, უმჯობესდება ავადმყოფთა კლინიკური მდგომარეობა როგორც სუბიექტურად, ისე ობიექტურად. ავადმყოფებს შრომის უნარი უბრუნდებათ დაავადების I—II სტადიაში.

მ. მელიქიშვილმა, თ. უგულავამ და თ. კაკაბაძემ ჩაატარეს დაკვირვება ჰიალურონიდაზის აქტივობის დინამიკაზე ინფექციური არასპეციფიკური პოლიართრიტების დროს თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების მკურნალობის შედეგად (დაკვირვება ჩატარებულია 66 ავადმყოფზე).

ავტორები აღნიშნავენ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების დადებით თერაპიულ მოქმედებას არასპეციფიკური პოლიართრიტით დაავადებულებზე; ავადმყოფთა საერთო მდგომარეობისა და ადგილობრივი პათოლოგიური პროცესების გაუმჯობესება უფრო თვალსაჩინოდ გამოიხატა

თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების ფონზე
სამკურნალო ვარჯიშებისა და მასაჟის ჩატარებისას.

მ. მელიქიშვილის, ო. საყვარელიძის, თ. მახვილიძისა და
მ. ჩხეიძის მონაცემებით, თბილისის თერმული გოგირდიანი
წყლის აბაზანები დადებით შედეგს იძლევა რევმატული პოლი-
ართრიტით დაავადებულებში (რემისიის ფაზაში), მწვავე შე-
ტევიდან 2—6 თვის გავლის შემდეგ, თუკი წყლის ტემპერა-
ტურა 37° უდრის, აბაზანების ხანგრძლიობა — 15 წუთს და
მკურნალობის კურსი კი — 15 პროცედურას. აღნიშნული მე-
თოდით მკურნალობის შედეგად საგრძნობლად უმჯობესდება
ავადმყოფის საერთო მდგომარეობა, ქრება ან მცირდება ჩივი-
ლები და ობიექტური ცვლილებები სახსრებში, ტემპერატურა
ნორმას უბრუნდება, ერითროციტების დალექვის რეაქცია
ნელდება.

თ. კაკაბაძემ, ი. ლუკინამ და ო. საყვარელიძემ ჩაატარეს
დაკვირვება თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანე-
ბის გავლენაზე აზოტური ცვლისა და სისხლის სურათის ზოგი-
ერთ მაჩვენებელზე სახსრების სხვადასხვა ეტიოლოგიის და-
ზიანებათა დროს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ დაავა-
დების დროს აბაზანები დადებითად მოქმედებს. მნიშვნელოვ-
ნად მცირდება ორგანიზმში ნარჩენი აზოტის რაოდენობა, უმ-
ჯობესდება სისხლის საერთო სურათი როგორც წითელი, ისე
თეთრი ბურთულების მხრივ და ნელდება ედრ.

თ. ჯავახიშვილის, შ. ნუცუბიძის, ლ. ტყემალაძის, ნ. ცხო-
მელიძისა და თ. კაკაბაძის მონაცემებით, თბილისის ჰიპერთერ-
მული მეთანიან-აზოტიანი მინერალური წყლის აბაზანები წარ-
მოადგენს ინფექციური პოლიართრიტების სამკურნალო ეფექ-
ტიან ბალნეოთერაპიულ ფაქტორს, კერძოდ უმჯობესდება
ავადმყოფთა სუბიექტური მდგომარეობა სახსრებში პათო-
ლოგიური ცვლილებების შემცირებით, ტემპერატურის ნორ-
მალიზაციით და ერითროციტების დალექვის რეაქციის შენე-
ლებით. მკურნალობის შედეგად ხდება ბიოქიმიური მაჩვენებ-
ლების გამოსწორება, ნორმალიზაციას განიცდის მომატებული
პოლიპეპტიდური აზოტი და სისხლის შრატის გლობულინები.

უფრო მკაფიოდ გამოხატულ შედეგს იძლევა კომპლექსური მკურნალობა.

ს. უზნაძის დაკვირვებათა შედეგად გამოირკვა, რომ თბილისის გოგირდიანი წყლის აბაზანები დადებით სამკურნალო ეფექტს იძლევა რევმატიზმის სხვადასხვა ფორმით დაავადებულ ბავშვთა მკურნალობის დროს — უმჯობესდება ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა, ქრება ტკივილი და სახსრების შეშუპება, სახსრებში შეზღუდული მოძრაობა აღდგენას განიცდის, ძილი უმჯობესდება, მომატებული ედრ (30—40 მმ/ს) ნორმამდე კლებულობს (3—10 მმ/ს), ბავშვები წონაში მატულობენ (1—2 კგ) და სხვ.

ნ. მეგრელიშვილისა და ლ. კურბანოვას დაკვირვებით (34 ავადმყოფზე), თბილისის გოგირდიანი წყლის იონიზაციით მკურნალობა (ელექტროფორეზი) სახსართა რევმატული პოლიართრიტებით დაავადების შემთხვევაში დადებით სამკურნალო ეფექტს იძლევა — სახსართა არეში სიწითლე, შეშუპება, ტკივილი ქრება და სახსართა ფუნქციის აღდგენა იწყება 5 — 7 სეანსის შედეგად და ნორმას უბრუნდება 3 — 4 კვირის მკურნალობის შემდეგ.

ს. ი. ანდრეევას მიერ ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით (31 ავადმყოფი), თბილისის გოგირდიანი წყლებით იონიზაცია (ელექტროფორეზი) ერთ-ერთ აქტიურ საშუალებას წარმოადგენს რევმატულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მკურნალობის აღნიშნული მეთოდი აფართოებს თბილისის თერმული წყლის გამოყენების ჩვენებებს სააბაზანო შენობის გარეშეც (კერძოდ, როგორც ამბულატორიულად, ისე ოჯახურ პირობებში).

ს. ი. ანდრეევამ დაკვირვება ჩატარა თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის იონიზაციაზე.

ავადმყოფები სარგებლობდნენ საფენი ბალიშებით, რომლებიც დასველებული იყო მინერალური წყაროდან ბოთლით მიტანილი გოგირდიანი წყლით.

გოგირდიანი წყლის გამოყენება ხდებოდა ორივე პოლუსიდან, დასაწყისში მარტო კათოლიდან, რადგან ასეთ შემთხვევაში, ავტორების აზრით, ვლებულობთ საჭირო დესენსიბილიზაციას (არსებობს აზრი, რომ ანოდიდან შეყვანილი კოლოიდური გოგირდი იწვევს სენსიბილიზაციას).

ს ანდრეევა აღნიშნავს, რომ გოგირდიანი წყლის ელექტროფორები უკეთეს შედეგს იძლევა ორივე ელექტროდიდან, ვიდრე მარტო კათოდიდან.

ავტორი დაასკვნის, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლებით იონიზაცია წარმოადგენს რევმატულ დაავადებათა სამკურნალო ერთ-ერთ აქტიურ საშუალებას. ამ მეთოდით მკურნალობისას დამახასიათებელია მოქმედების სისწრაფე; განსაკუთრებით მკვეთრ გავლენას ახდენს გოგირდი ფიბროზიტებზე (2—4 სეანსის შემდეგ კვანძები შეიწოვება და ტკივილიც ქრება).

ა. დ. რობაქიძის მიერ ჩატარებული დაკვირვებებით დადგენილია, რომ თბილისის გოგირდიანი წყლების აბაზანების კურსი დაავადებულებში კუნთოვანი სისტემის მატონიზირებელ ხასიათს ატარებს. თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანებით მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია დაავადების ხანგრძლიობაზე. რაც უფრო ახალია დაავადება, მით უკეთესია თერაპიული ეფექტი. აღსანიშნავია, რომ გოგირდიანი წყლების აბაზანების კურსი ჯანმრთელი ადამიანების კუნთოვან ტონუსს არ ცვლის.

ი. ცინცაძემ და ნ. ანდრონიკაშვილმა ჩატარეს დაკვირვება იმის დასადგენად, თუ რა გავლენას ახდენს თბილისის გოგირდიანი წყლის აბაზანები სისხლის მიმოქცევის ორგანოების ცვლილებებზე. მიღებული მონაცემების საფუძველზე ავტორები დაასკვნიან, რომ ამ წყლის აბაზანებით (+36°—+37°) მკურნალობის შედეგად უმეტეს შემთხვევაში ხდება სისხლის მიმოქცევის ორგანოების დარღვეული ფუნქციების გაუმჯობესება — მომატებული სისხლის წნევა კლებულობს და, პირიქით, დაქვეითებული მატულობს და ნორმას უბრუნდება, უმჯობესდება აგრეთვე ნივთიერებათა ცვლა, ავადმყოფთა სუბიექტური და ობიექტური მდგომარეობა (ქოშინი, გულის ძვრა, თავბრუ, ცუდი ძილი და სხვ.).

ე. ჩილინგარიშვილმა შეისწავლა გოგირდიანი წყლის აბაზანების გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებაზე სისხლის მიმოქცევის უკმარისობის დროს. დაკვირვება ჩატარებულია 34 ავადმყოფზე, რომელთა შორის 12 მკურნალობ-

და სტაციონარულად, 22 კი — ამბულატორიულად. მიღებული მონაცემების საფუძველზე ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანებით მკურნალობა დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვეულ ფუნქციაზე, კერძოდ, მან ჯანმრთელობის მდგომარეობის კლინიკური გაუმჯობესება მიიღო 24 შემთხვევაში 34-დან (70,6%). ავადმყოფებს გაუქრათ სუბიექტური ჩივილები, ობიექტურად კი სისხლის არტერიული წნევის რეგულირება მოხდა — მკურნალობამდე აწეულმა ვენურმა წნევამ დაიკლო, აჩქარდა სისხლის მიმოქცევა. სისხლძარღვების დარღვეული ტონუსი აღდგა. ცირკულაციაში მანამდე მომატებულმა სისხლის რაოდენობამ იკლო. ეს დადებითი ძვრები თითქმის ერთნაირი სიხშირით გვხვდება როგორც სტაციონარული (12-დან 8 ავადმყოფი), ისე ამბულატორიული მკურნალობის პირობებში (22 ავადმყოფიდან 16). ამასთან ერთად ავტორი დასძენს, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანები გამავარჯიშებლად მოქმედებს გულის კუნთებისა და სისხლძარღვთა დარღვეულ ფუნქციაზე. ასე რომ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი (სისხლის მიმოქცევის I და II ხარისხის უკმარისობით) შეტანილ უნდა იქნეს თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანებით მკურნალობის ჩვენებებში.

ზურმუდიანის მონაცემებით, გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულებს სუბკომპენსაციის სტადიაში 8—9 აბაზანის მიღების შემდეგ უმცირდებათ სუბიექტური ჩივილები — თავბრუ, ქოშინი, გულის ძგერა და სხვ. 10 აბაზანის შემდეგ კი გულის ტონები უფრო ნათლად ისმის და ზოგიერთ შემთხვევაში ექსტრასისტოლები შედარებით უფრო იშვიათად მეორდება. აღსანიშნავია, რომ მისი დაკვირვებების ქვეშ მყოფი ყველა ავადმყოფი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გაეწერა.

ა. კ. ლაზაროვი აკვირდებოდა აბაზანების გავლენას სისხლის ნაკადის სისწრაფეზე (ცირკულაციაში მყოფი სისხლარაოდენობაზე). იგი აღნიშნავს, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების მიღების შედეგად სისხლის მიმოქცევა, სისხლის ნაკადის სისწრაფე და ცირკულაციაში მყოფი

სისხლის რაოდენობა მნიშვნელოვან ცვლილებებს არ იძლევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთგვარ ძვრას, რომელიც ნორმის ფარგლებს არ სცილდება. თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანები, ისე როგორც სხვა თერმული მინერალური წყლები, დადებითად მოქმედებს სისხლის მიმოქცევის ორგანოებზე, კერძოდ, იწვევს ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას და არეგულირებს სისხლის მიმოქცევას ორგანიზმში.

ე. ი. ჩილინგარიშვილმა შეისწავლა თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების გავლენა (34 ავადმყოფზე) „ჰემოდინამიკის“ ზოგიერთ მონაცემზე ჰიპოტონიის დროს. იგი აღნიშნავს, რომ აბაზანები უმრავლეს შემთხვევაში იწვევს საერთო მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას — სუბიექტური ჩივილების საგრძნობ შემცირებას ან სრულიად გაქრობას; ისეთი შემთხვევებიდან, როდესაც ჭარბობდა პერიფერიული სისხლძარღვების ფუნქციის მოშლის მოვლენები, გაუმჯობესება მდებარეობდა 79%-ში, რაც სუბიექტური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად სისტოლური და დიასტოლური წნევის ნორმამდე აყვანიტ აღინიშნება; ჰიპოტონიის ისეთ შემთხვევებში კი, როდესაც ადგილი ჰქონდა გულის ფუნქციური უკმარისობის კლინიკურ მოვლენებს, თბილისის გოგირდიანი წყლის აბაზანების გავლენით გაუმჯობესება მიღებულია 67%-ში.

მანვე შეისწავლა თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების მოქმედება ჰიპერტონიული დაავადების დროს. დაკვირვების ქვეშ მყოფი 51 ავადმყოფიდან 30 მკურნალობდა სტაციონარულად, ხოლო 21 ამბულატორიულად; მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლების აბაზანები დადებითად მოქმედებს ჰიპერტონიული დაავადების კეთილთვისებიან ფორმაზე — სისტოლური წნევა საშუალოდ 20 მმ-ით კლებულობს, ხოლო დიასტოლური — 10 მმ-ით; წნევის ცვლილებას თან სდევს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მდგომარეობის საერთო გაუმჯობესება. ჰიპერტონიული დაავადების ვეგეტატიური ფორმის შემთხვევებშიც ანა-

ლოგიური დადებითი შედეგია მიღებული. ჰიპერტონიული დაავადების სკლეროზული ფორმის მკურნალობა თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანებით უკეთეს შედეგს იძლევა სტაციონარულ პირობებში, ვიდრე ამბულატორიულად. აღსანიშნავია, რომ ჰიპერტონიული დაავადების შემთხვევაში (სისხლის მიმოქცევის დარღვევით) აბაზანების მოქმედებით ავადმყოფთა მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ საბოლოო განკურნებას არ იძლევა.

პროფ ა. აბულაძის და თ. უგულავას მიერ ჩატარებული დაკვირვებებით დადგინდა თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების დადებითი მოქმედება ჰიპერტონიით დაავადებულ ავადმყოფებზე; ავადმყოფებს I B სტადიაში კლინიკურ გაუმჯობესებასთან პარალელურად უძლიერდებათ ჟანგვა-აღდგენითი პროცესები, II A სტადიაში ავადმყოფებს ეს პროცესები უფრო მკაფიოდ ეტყობათ მე-6—7 აბაზანის მიღებისას. აღსანიშნავია, რომ ბალნეოპროცედურები ზოგჯერ აუარესებს ჟანგვა-აღდგენით პროცესებს;

პროფ. ა. აბულაძე, თ. უგულავა და თ. კაკაბაძე დაკვირვებას ატარებდნენ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანებით ჰიპერტონიული სნეულებით ავადმყოფების მკურნალობის მეთოდის დაზუსტების მიზნით.

მათი დასკვნით, თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების გავლენით უმეტეს შემთხვევაში უმჯობესდება სუბიექტური მდგომარეობა; ასეთ შემთხვევაში უფრო კარგ შედეგს იძლევა აბაზანები დღეგამოშვებით. II A სტადიაში ავადმყოფებს აღენიშნებათ სისხლის წნევის ზომიერი დაქვეითება მე-7—15 აბაზანაზე, ხოლო უკეთესი შედეგები აღინიშნება აბაზანების დღეგამოშვებით დანიშვნის შედეგად. II B სტადიაში სისხლის წნევის დაქვეითება უფრო მკვეთრად აღინიშნება მე-10 აბაზანაზე (დღეგამოშვებით მიღების შედეგად). როგორც IIA, ისე IIB სტადიაში ხშირად ვლინდება სისხლში ნატრიუმის მატება და ქლორის დაქვეითება, ე. ი. $\frac{Na}{Cl}$ კოეფიციენტის მომატება. ამავე დროს კალიუმის, კალციუმის,

მაგნიუმისა და მშრალი ნაშთის დონე სისხლში ფიზიოლოგიური ნორმის ფარგლებში მერყეობს.

ჰიპერტონიული სნეულებით დაავადების II სტადიაში თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის 6—7 აბაზანის დღე მიღების გავლენით აღინიშნება ნატრიუმის შემცველობის დაქვეითება სისხლში და $\frac{Na}{Cl}$ კოეფიციენტის ნორმალიზაცია; შემდგომი აბაზანები ზოგჯერ იწვევს მინერალური ცვლის მაჩვენებლების გაუარესებას. დარღვეული მინერალური ცვლია ნორმალიზაცია ხშირად ვლინდება 7 — 15 აბაზანის დღე-გამოშვებით მიღების შედეგად. კლინიკური და ბიოქიმიური მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჰიპერტონიული სნეულების II A სტადიაში უფრო სასარგებლოა თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანები დაენიშნოს ავადმყოფებს დღე-გამოშვებით 10—15 აბაზანის რაოდენობით, ხოლო II B სტადიაში კი — საშუალოდ 10 აბაზანა, მხოლოდ დღე-გამოშვებით.

თ. ნ. უგულავას, ი. მ. ლუკინას და ო. ს. საყვარელიძის მიერ შესწავლილია თბილისის გოგირდიანი წყლის აბაზანების მოქმედება აზოტოვანი ცვლის ზოგიერთ მაჩვენებელზე და სისხლის მორფოლოგიაზე ჰიპერტონიული დაავადების დროს (დაკვირვება წარმოებდა 38 ავადმყოფზე).

ავტორების დასკვნით, აბაზანები დადებითად მოქმედებს ნეიროგენული ფორმის ჰიპერტონიული სნეულებით ავადმყოფებზე — უმჯობესდება სუბიექტური და ობიექტური მდგომარეობა და სწორდება ჰემოდინამიკური მაჩვენებელი.

შ. ფარჯანაძისა და მ. მელიქიშვილის დაკვირვებით, თბილისის ჰიპერთერმული მეთანიან-აზოტიანი მინერალური წყლის აბაზანები დადებით გავლენას ახდენს ჰიპერტონიული სნეულებით დაავადებულებზე, კერძოდ სისხლძარღვთა ტონუსზე, რაც საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ აბაზანები მარეგულირებელ გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

პროფ. ა. ა. აბულაძისა და თ. უგულავას მონაცემებით, ჰიპერთერმული მეთანიანი წყლის აბაზანებით გამოწვეულ

კლინიკურ გაუმჯობესებას უმეტეს შემთხვევაში თან არ სდევს ნახშირწყლოვანი ცვლის გაუმჯობესება.

ფ. თავამაიშვილის დაკვირვებით, ჰიპერტონიული სინდრომით დაავადებულებებს უუმჯობესდებათ სუბიექტური და ობიექტური მონაცემები და ამასთან ერთად მატულობს ღვიძლის ანტიტოქსიკური ფუნქცია. ავტორის მონაცემებით, თბილისის ჰიპერტერმული მეთანიან-აზოტიანი მინერალური წყლის აბაზანები ეფექტურ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს ჰიპერტონიით დაავადების I და II სტადიებში.

ს. ბააზოვას და ნ. თოხაძის დაკვირვების საგანი იყო გავაწელების რადიკულიტის მწვავე და ქვემწვავე ფორმების მკურნალობა თბილისის თერმული გოგირდიანი წყლების აბაზანებით (დაკვირვება ჩატარდა 96 ავადმყოფზე). მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ თბილისის გოგირდიანი წყლის აბაზანები საუკეთესო თერაპიულ ეფექტს იძლევა აღნიშნული დაავადების დროს.

ობიექტური გამოკვლევების მონაცემები გვიჩვენებს, რომ ბალნეოთერაპიის ეფექტიანობა დაავადების სხვადასხვა ფაზებისათვის სხვადასხვაა. ავტორები აღნიშნავენ, რომ უმჯობესია გადიდდეს აბაზანების რაოდენობა 20—25-მდე, რათა შემცირდეს რეციდივების სიხშირე და ხანგრძლიობა.

ნ. გ. ოქროპირიძე აწარმოებდა ქრონაქსიმეტრიულ დაკვირვებას ლუმბოიშიალგიით დაავადებულებებზე (შესწავლილ იქნა 90 ავადმყოფი). დაკვირვების შემდეგ დადასტურდა, რომ მკურნალობის შემდეგ ანთებითი პროცესები მცირდება ან სრულიად ქრება; მიღებული ეფექტის შენარჩუნებისათვის საჭიროა მკურნალობის კურსის განმეორება ან აბაზანათა რაოდენობის გადიდება.

ე. გუდიაშვილმა შეისწავლა თბილისის თერმული გოგირდიანი წყლების აბაზანების მოქმედება საჯდომი ნერვის ანთების დროს; 36 ავადმყოფიდან მკურნალობის ერთი კურსის ჩატარების შემდეგ 28 ავადმყოფი (77%) მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გაეწერა. ჩატარებული დაკვირვების საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ თბილისის

თერმული გოგირდიანი წყლების აბაზანა იზიასის მკურნალობის საუკეთესო და საიმედო საშუალებაა.

ნ. თოხაძისა და ა. რობაქიძის დაკვირვებათა მიხედვით თბილისის ჰიპერთერმული მეთანიან-აზოტიანი მინერალური წყლის აბაზანები დადებითად მოქმედებს ლუმბო-საკრალურ რადიკულიტებზე — უმეტეს შემთხვევაში სრულებით ქრება ან საგრძნობლად კლებულობს ტკივილი და უმჯობესდება სხვა სუბიექტური და ობიექტური მაჩვენებლები.

ნ. აგაჯანოვმა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის პირობებში კომპლექსური მკურნალობა ჩაატარა ფალოპის მილის ანთებითი პროცესით გამოწვეულ ქალის უნაყოფობის შემთხვევებში. დაკვირვება ჩატარებულია 63 ავადმყოფ ქალზე. ავტორი დაასკვნის, რომ ამ გამოკვლევის მიხედვით ეფექტიანობაზე მსჯელობა ნაადრევია, ხოლო შორეული შედეგების შესწავლის საფუძველზე შეიძლება განსაზღვრული დასკვნები გამოვიტანოთ ამ მეთოდით უნაყოფობის მკურნალობის ეფექტიანობის შესახებ.

ბურჯანაძისა და მ. თოფურიძის დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდ თერაპიულ ეფექტს იძლევა თბილისის გოგირდის წყლების აბაზანები გინეკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევებში. 170 ავადმყოფიდან მკურნალობის ერთი კურსის ჩატარების შემდეგ 60 ავადმყოფი მთლიანად განიკურნა, 94 გაეწერა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში, ხოლო 16 — უცვლელი მდგომარეობით.

მ. თოფურიძემ ჩაატარა დაკვირვება 20 ქალზე, რომელთაც ჰქონდათ შარდის შეუკავებლობა.

ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის 12 აბაზანის და ამდენივე შესხურების შემდეგ ავადმყოფთა მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სამკურნალო ეფექტს ავტორი ხსნის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების გავლენის შედეგად კუნთებისა და შარდის ბუშტის სფინქტერის ტონუსის გაძლიერებით.

ა. ს. პარასტაევისა და მ. დ. ნადირაშვილის დაკვირვებით, თბილისის გოგირდიანი წყლის აბაზანებით მკურნალობა ქალის სასქესო ორგანოების ქრონიკული ანთებითი პროცესე-

ბის დროს დადებით სამკურნალო შედეგს იძლევა (დაკვირ-
ვება ჩატარებულია 50 ავადმყოფზე). აბაზანების მიღებასთან
ერთად ავადმყოფებს უტარდებათ მინერალური წყლის შესა-
ხურება საშოში.

ი. შველიძის მონაცემებით, თბილისის გოგირდიანი წყლის
აბაზანების გავლენა ათაშანგით დაავადებულებზე სპეცი-
ფიკური მკურნალობის შემდგომ პერიოდში ფრიად დამაკმა-
ყოფილებელია როგორც უანგვა-აღდგენითი პროცესების
მაჩვენებლების, ისე ავადმყოფთა ზოგადი მდგომარეობის
გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ამ წყლის აბაზანების ზეგავლენით დადებითი სეროლოგიუ-
რი ფაზა 100%-ით გადადის სერონეგატივურ ფაზაში.

კ. მადრაძის მონაცემების მიხედვით, ფსორიაზის, ქრონი-
კული ეკზემის და ნევროდერმიტების დროს თბილისის თერ-
მული გოგირდიანი წყლის აბაზანები დადებითად მოქმედ სა-
მკურნალო საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

ა. ს. ბაბუნაშვილის მიერ კანის სხვადასხვა ქრონიკული
სნეულებით დაავადებულ 170 ავადმყოფზე ჩატარებულ კლი-
ნიკურ დაკვირვებათა მიხედვით, თბილისის თერმული გოგირ-
დიანი წყლის აბაზანებით მკურნალობა ქრონიკული დერმატო-
ზების დროს არაიშვიათად გვაძლევს კლინიკურ განკურნებას,
უმრავლეს შემთხვევაში კი კლინიკური მდგომარეობის გაუმ-
ჯობესებას მაინც; ავტორი დაასკვნის, რომ თბილისის თერმუ-
ლი გოგირდიანი წყლის აბაზანებით მკურნალობა დამაკმაყო-
ფილებელ თერაპიულ ეფექტს იძლევა კანის მთელ რიგ
ქრონიკულ სნეულებათა დროს.

შ. კ. ფარჯანაძეს, მ. ნ. მელიქიშვილს, ლ. მ. ტყემალაძეს,
ა. ა. გოგოშვილს და ზ. ი. აგლობინას ჩატარებული აქვთ
დაკვირვება თბილისის თერმული გოგირდიანი წყლით ნაწლა-
ვის წყალქვეშა გამორეცხვის თერაპიულ ეფექტიანობაზე
ქრონიკული ჰეპათოქოლეცისტიტის დროს, მკურნალობის
სხვადასხვა კომპლექსთან შეთავსებით (დაკვირვება წარმოებ-
და 150 ავადმყოფზე, სტაციონარულ პირობებში).

მკურნალობის შემდეგ ავადმყოფთა უმეტესობას აღენიშ-
ნებოდა გაუმჯობესება — გადიდებული ღვიძლი დაპატარავდა

და გამოსწორდა მისი ფუნქცია, მოიხსნა ტკივილის სინდრომი, გაქრა დისპეფსიური ჩივილები, დუოდენალურ წვეწმინდაში ნიშნებოდა ლორწოსა და ლეიკოციტების შემცირება, უკეთესი შედეგებია, როდესაც სუბაქვალურ აბაზანებთან ერთად შეთავსებულია სხვა ბალნეოფიზიოთერაპიული პროცედურები (ულტრამალალი სიხშირის ელექტროველი, წიწვიანი აბაზანები, მინერალური წყლის მიღება, სამკურნალო კვება).

რადგან ნაწლავთა წყალქვეშა აბაზანები ერთგვარად დამტვირთავ პროცედურას წარმოადგენს, ამიტომ, ავტორთა აზრით, საჭიროა დანიშვნისას მხედველობაში იქნეს მიღებული გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა.

ჩვენ მიერ (მ. ნოდია, მ. დგებუაძე, შ. მშვენიერაძე) ჩატარებულია დაკვირვება ჰიპოტონიით დაავადებულ 96 ავადმყოფზე თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანებით, ამ აბაზანებით და ირგვლივი შხაპის კომპლექსით და ნახშირმჟავა აბაზანებით მკურნალობის შედეგებით ეფექტიანობაზე.

ცნობილია, რომ დაბალი არტერიული წნევა ყოველთვის არ წარმოადგენს ჰიპოტონიურ დაავადებას. თუ ადამიანი თავს კარგად გრძნობს და ობიექტური გამოკვლევებით პათოლოგია არ აღენიშნება, ასეთი ჰიპოტონია (ორგანიზმის კონსტიტუციონალური თავისებურებებიდან გამომდინარე) ფიზიოლოგიურად უნდა ჩაითვალოს და არავითარ მკურნალობას არ საჭიროებს. ზოგჯერ ჰიპოტონია ვითარდება ქრონიკულად მიმდინარე რომელიმე დაავადების ფონზე და ამ უკანასკნელის სიმპტომს წარმოადგენს (ტუბერკულოზი კუჭის წყლული ბოტკინის სნეულება, მძიმე ფორმის ანემიები და სხვ.). ასეთ შემთხვევაში ძირითადი დაავადების განკურნება არტერიული წნევის ნორმალიზაციას იწვევს.

სხვა შემთხვევაში ჰიპოტონია წარმოადგენს დაავადების ძირითად სიმპტომს; მას არტერიულ ჰიპოტონიას, ანუ ჰიპოტონიურ დაავადებას უწოდებენ. ჰიპოტონიის ეს ფორმა უფრო ხშირად 18—30 წლის ასაკში გვხვდება.

ჰიპოტონიის შესწავლას უკავშირებენ ფერანინის (1903),

მ. ჰერცისა და ე. მიუნცერის (1910), კ. ვაკეზის (1915) შრომებს.

სამამულო ლიტერატურაში არტერიული ჰიპოტონიის საკითხები მუშავდებოდა ოსტროუმოვის კლინიკაში. არტერიული ჰიპოტონიის საკითხებისადმი ინტერესი გაძლიერდა მე-20 საუკუნის 20—30-იანი წლებიდან, მონპელიეში 1929 წ. ჩატარებული ყრილობის შემდეგ, სადაც ჰიპოტონია საპროგრამო საკითხად იყო. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის გადაჭრილი საკითხი ამ დაავადების ეტიოპათოგენეზისა და კლასიფიკაციის შესახებ (ნ. მოლჩანოვი, ა. ალექსანდროვა, ვ. ლუკიანოვი და სხვ.). ობრაზცოვის აზრით, არტერიული ჰიპოტონიის ეტიოლოგიაში წამყვანი მნიშვნელობა აქვს ნერვულ-ფსიქიკურ ტრავმას, გადაღლილობას, ზოგჯერ თავის არეში ტრავმის შემდგომ მდგომარეობას.

არტერიულ ჰიპოტონიას საფუძვლად უდევს ქერქული ნეიროდინამიკის მოშლილობანი, რომლებიც იწვევს ვაზომოტორული ცენტრების ნევროზს, ვეგეტატიური ფუნქციების შემდგომი მოშლით.

ნ. ი. გერასიმოვი და ე. ლ. პუჩოვსკაია თვლიან, რომ არტერიულ ჰიპოტონიას იწვევს თავის ტვინის ქერქში შეკავებითი პროცესების გაძლიერება და ამ შეკავების გავრცელება ქერქქვეშა სფეროზე; მკურნალობის შედეგად შეკავების პროცესები კლებულობს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, აგზნებადობა ძლიერდება, რაც ჰიპოტონიური სინდრომის უკუგანვითარებას იწვევს.

ა. ვ. კვასენკომ შეისწავლა არტერიული ჰიპოტონიის პათოფიზიოლოგიური მექანიზმების ზოგიერთი საკითხი და აღნიშნა, რომ არტერიული ჰიპოტონიის მიზეზი ნერვულ-ფსიქიკური მოშლილობაა, რაც ასთენიური სინდრომის სახით მჟღავნდება. ასეთივე აზრს გამოსთქვამს ე. ნ. კამენევა.

მთელი რიგი ავტორები კლინიკური სურათისა და დაავადების მიმდინარეობის მიხედვით განასხვავებენ არტერიული ჰიპოტონიის სამ სახეს: ცერებრალურს, როდესაც სჭარბობს ფუნქციური ხასიათის მოშლილობანი ცენტრალური ნერვული სისტემისა და თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მხრივ; კარდიალურს, როდესაც სჭარბობს მოვლენები გულის მხრივ

და შესამე — შერეულ ფორმას (ვ. ს. ლუკიანოვი — 1961, ა. ვ. ობრასოვა — 1957).

არტერიული ჰიპოტონიის ბალნეო-ფიზიოთერაპიული ფაქტორებით მკურნალობის შესახებ არსებული ლიტერატურა მცირერიცხოვანია.

ტ. ვ. ერამს ჩატარებული აქვს კლინიკური დაკვირვებანი ჰიპეტონიით დაავადებულთა რიგის ზღვის სანაპირო კურორტებზე უარყოფითად დამუხტული ჰაეროიონებით მკურნალობაზე. უარყოფითად დამუხტული ჰაეროიონები იწვევს სისხლის წნევის ნორმალიზაციას და ჰიპოტონიის კლინიკური ნიშნების გაქრობას. ვ. ა. სმირნოვის მონაცემებით, გრილი წყლის პროცედურები (აბაზანები, შხაპები) დადებით თერაპიულ ეფექტს იძლევა არტერიული ჰიპოტონიის დროს. მკურნალობის ეფექტიანობა კიდევ უფრო მატულობს სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენებით. ნ. ი. ცეცხლაძემ და გ. გ. თვალთვაძემ კლინიკური დაკვირვება ჩატარეს ჰიპოტონიით ავადმყოფებზე კურორტ სოხუმის კლიმატურ პირობებში. ავადმყოფები ღებულობდნენ ჰაერის, მზისა და ზღვის აბაზანებს. ჩატარებული კომპლექსური მკურნალობის შედეგად საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად უმრავლესობას აღენიშნებოდა სისხლის წნევის ნორმალიზაცია, 53 ავადმყოფიდან მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მიღებულია 30 შემთხვევაში, გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გაეწერა 19 ავადმყოფი.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული მეთოდით მკურნალობა საგრძნობლად მაღალეფექტიანია. ავადმყოფებს გაუქრათ ან მნიშვნელოვნად შეუმცირდათ ჰიპოტონიისათვის დამახასიათებელი წამყვანი სიმპტომები: თავის ტკივილი, თავბრუ, საერთო სისუსტე, გულის ძგერა და უსიამოვნო შეგრძნებები გულმკერდის მიდამოში, ზოგიერთი ნერვული მოვლენა, უმადობა, უძილობა და სხვ. სისხლის დაქვეითებული არტერიული წნევა (როგორც მაქსიმალური, ისე მინიმალური) მატულობს ნორმალიზაციისადმი მიდრეკილებით.

ხელოვნური ნახშირმჟავა აბაზანები, თბილისის თერმული

გოგირდიანი წყლის აბაზანები და ამ აბაზანებისა და ირგვლივი შხაპების კომპლექსი კარგ თერაპიულ ეფექტს იძლევა არტერიული ჰიპოტონიით დაავადებულთა მკურნალობაში. ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებასა და განსაკუთრებით არტერიული წნევის ნორმალიზაციასთან ერთად აღინიშნება სისხლის შრატის ცილების ფრაქციების ნორმალიზაცია და ღვიძლში ნახშირწყლების ცვლის გაუმჯობესება.

ხელოვნური ნახშირმჟავა აბაზანებით არტერიული ჰიპოტონიის მკურნალობაში უფრო მაღალი თერაპიული ეფექტია მიღებული, ვიდრე თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანებით და ირგვლივი შხაპის კომპლექსით, ხოლო ამ კომპლექსით მკურნალობა კი უფრო ეფექტიანია, ვიდრე მხოლოდ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანებით მკურნალობა.

ამგვარად, მთელი რიგი ავტორების (ი. ცინცაძე, ნ. ანდრონიკაშვილი, ნ. ცხომელიძე, ა. აბულაძე, თ. უგულავა, ვ. მახარაძე, თ. კაკაბაძე, მ. მელიქიშვილი, ო. საყვარელიძე, თ. მახვილაძე, ი. ჩხეიძე, ქ. ჟღენტი, თ. ნუცუბიძე, კ. ნუცუბიძე, ს. უზნაძე, ნ. მეგრელიშვილი, ა. კურპანოვა, ს. ანდრეევი და სხვ.) მიერ ჩატარებულ მეცნიერულ დაკვირვებათა შედეგად დადგენილია, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი მინერალური წყლის აბაზანები გარკვეულ დადებით შედეგს იძლევა სხვადასხვა სახის არასპეციფიკური ქრონიკული და ზოგჯერ ქვემწვავე ართრიტების დროს. დადგენილია, რომ აბაზანები ხშირად იძლევა ნაზი ხასიათის სააბაზანო რეაქციას, რაც აღინიშნება ტკივილის დროებით გამწვავებით, რასაც თან სდევს მაღალი თერაპიული ეფექტი. ავტორები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი წყლით მკურნალობის კურსი სახსრების დაავადებისას არ უნდა აღემატებოდეს 20 აბაზანას (ი. ცინცაძე, ნ. ანდრონიკაშვილი და სხვ.). ავტორები მიუთითებენ, რომ უმჯობესდება ჟანგვა-აღდგენითი პროცესები, ხდება ქერქოვანი პროცესების ნორმალიზაცია, კლებულობს სისხლის მომატებულ წნევა (ნორმალური უცვლელი რჩება). ქრება ან მცირდება სახსრებ-

ში ტკივილი, ექსუდატური მოვლენები სახსრებში და პერიარტიკულარულ ქსოვილებში, მატულობს სახსრებში მოძრაობის მოცულობა, ნორმალიზდება ტემპერატურა და ედრე-ანალოგიური შედეგია მიღებული ამავე წყლის აბაზანებით მკურნალობის შედეგად რევმატიზმით დაავადებულ ბავშვთა შორის (ს. უზნაძე).

თბილისის თერმული გოგირდიანი წყლით იონიზაცია (ელექტროფორეზი) მაღალ თერაპიულ ეფექტს იძლევა რევმატულ დაავადებათა დროს (ს. ანდრეევა, ნ. მეგრელიშვილი და ლ. კურპანოვა). 2 — 4 სეანსის შემდეგ ტკივილი ქრება, ფიბროზიტების დროს კვანძები სწრაფად შეიწოვება.

ეს მეთოდი ფართოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული, რადგან საშუალებას იძლევა ოჯახურ პირობებში ვუმკურნალოთ ავადმყოფებს.

აღნიშნული წყლის აბაზანებით მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია დაავადების ხანგრძლიობაზე. რაც უფრო ახალია დაავადება (მწვავე პერიოდის გადატანის შემდეგ), მით უკეთესია თერაპიული ეფექტიც (ა. რობაქიძე).

თბილისის ჰიპერთერმული მეთანიან-აზოტიანი მინერალური წყლის აბაზანები ინფექციური არასპეციფიკური პოლიართრიტების დროს მაღალ ბალნეოთერაპიულ ეფექტს იძლევა, რაც კიდევ უფრო მატულობს ამ აბაზანებთან სამკურნალო ფიზკულტურის კომპლექსური გამოყენების შედეგად (დ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ლ. ტყემალაძე, ნ. ცხომელიძე, თ. კაკაბაძე და სხვ.).

სპონდილოართრიტით და სპონდილოზით დაავადებისას თბილისის გოგირდიანი წყლის აუზში აბაზანების მიღება ამავე აუზში ტანვარჯიშთან და მასაჟთან ერთად უფრო მაღალ თერაპიულ ეფექტს იძლევა, ვიდრე მხოლოდ აბაზანა. ქ. ჟღენტის, თ. ნუცუბიძისა და კ. ნუცუბიძის მიერ ჩატარებულ დაკვირვებათა მიხედვით (50 ავადმყოფზე), თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის აუზში სამკურნალო ტანვარჯიშის გამოყენება ხერხემლის ქრონიკულ დაავადებათა დროს (სპონდილოართრიტი, სპონდილოზი) ზრდის მკურნალობის ეფექტიანობას, რაც იმით დასტურდება, რომ 35 ავადმყოფიდან,

რომლებსაც მინერალური წყლის აბაზანაში უტარდებათ ტან-
ვარჯიში და ზურგის კუნთების მასაჟი, ყველა (35) გაუმჯობე-
სებულ მდგომარეობაში გაეწერა, 15 ავადმყოფიდან კი (რომ-
ლებიც მხოლოდ აბაზანას ღებულობდნენ ანდა სამკურნალო
ტანვარჯიშს აბაზანის გარეშე, 11 გაეწერა გაუმჯობესებით,
20 — უმნიშვნელო გაუმჯობესებით, დანარჩენი 2 კი — უცვ-
ლელ მდგომარეობაში. ჩატარებული დაკვირვება იმის დამა-
ჯერებელ საბუთს იძლევა, რომ სპონდილოზებისა და სპონდი-
ლოართრიტების დროს ფართოდ იქნეს გამოყენებული სამკუ-
რნალო ტანვარჯიში მინერალური წყლის აუზში.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზე თბილისის
თერმული გოგირდიანი წყლის აბაზანების მოქმედების შე-
სწავლით დადგინდა (ი. ცინცაძე და ნ. ანდრონიკაშვილი, ე.
ჩილინგარიშვილი, ა. აბულაძე, თ. უგულავა, თ. კაკაბაძე, ო.
საყვარელიძე, ი. ლუკინა, ხურშუდიანი, ა. ლაზარედი და სხვ.),
რომ აბაზანები დადებით გავლენას ახდენს ამ სის-
ტემის დაავადებებზე: ხდება სისხლმიმოქცევის ორგანოების
დარღვეული ფუნქციების აღდგენა, უმჯობესდება სუბიექტური
და ობიექტური მდგომარეობა (ქოშინი, გულის ძვრა, თავ-
ბრუ და სხვ.), რეგულირდება სისხლის წნევა — მომატებული
კლებულობს, დაქვეითებული სწორდება (ეს ეხება სისხლის
როგორც არტერიულ, ისე ვენურ წნევას და როგორც სტაცი-
ონარულ, ისე ამბულატორიულ ავადმყოფებს), ხდება ნივთიე-
რებათა ცვლის გაუმჯობესება და სხვ.

თბილისის ჰიპერთერმული მეთანიან-აზოტიანი მინერა-
ლური წყლის აბაზანებით მკურნალობა მაღალ თერაპიულ
ეფექტს იძლევა ჰიპერტონიული სნეულების დროს, ავადმყო-
ფის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად
უმჯობესდება ღვიძლის ანტიტოქსიკური ფუნქცია და ნახშირ-
წყლოვანი ცვლა (ა. აბულაძე, თ. უგულავა, შ. ფარჯანაძე, მ.
მელიქიშვილი, ფ. თავამაიშვილი და სხვ.).

პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებზე (ლუმ-
ბოიშიალგიები, გავა-წელის რადიკულიტები, საჯდომი ნერვის
ანთება და სხვ.) ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგად (ნ.
თოხაძე, ს. ბააზოვა, ნ. ოქროპირიძე, უ. გუდიაშვილი და სხვ.)

გამოირკვა, რომ თბილისის თერმული გოგირდიანი მინერალური წყლის აბაზანებით მკურნალობა მაღალ თერაპიულ ეფექტს იძლევა. სრულიად ქრება ან საგრძობლად კლებულობს დაავადების სუბიექტური და ობიექტური მაჩვენებლები, სრულიად ქრება ან საგრძობლად მცირდება ანთებითი პროცესები. აღსანიშნავია, რომ მკურნალობის ეფექტის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საჭიროა მკურნალობის კურსის განმეორება და კურსში აბაზანების რაოდენობის გადიდება 20—25-მდე.

ასეთივე შედეგია მიღებული თბილისის ჰიპერთერმული მეთანიან-აზოტიანი წყლის აბაზანებით ლუმბო-საკრალური რადიკულიტების მკურნალობის შედეგად (ნ. თოხაძე, ა. რობაქიძე). დადგენილია აბაზანებითა და შესხურებით მკურნალობის მაღალი თერაპიული ეფექტი სხვადასხვა გინეკოლოგიური ქრონიკული ანთებითი დაავადების დროს (მ. თოფუროიძე და ბურჯანაძე, ა. პარასტაევი და მ. ნადირაშვილი, ნ. აგაჯანოვი და სხვ.). შემთხვევათა დიდ ნაწილში სრული განკურნება აღინიშნება, ხშირად კი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. აღსანიშნავია აგრეთვე გოგირდიანი წყლის აბაზანებისა და მისი შესხურების შედეგად მიღებული ეფექტი ქალთა შორის შარდის შეუკავებლობის შემთხვევებში.

ჩატარებულ დაკვირვებათა საფუძველზე შეიძლება ითქვას აგრეთვე, რომ გოგირდიანი აბაზანები დადებით შედეგს იძლევა ფსორიაზის, ქრონიკული ეკზემის, ნეიროდერმიტების, პრურიგოს და პიოდერმიის მკურნალობისას (ი. შველიძე, კ. მალრაძე, ა. ბაბუნაშვილი).

თბილისის თერმული გოგირდიანი წყლის სუბაქვალური აბაზანები მაღალ თერაპიულ ეფექტს იძლევა ქრონიკული ჰეპატოქოლექსტიტების დროს, მაგრამ ეფექტი უფრო მკაფიოდაა გამოხატული აბაზანებთან კომპლექსში სხვა ფიზიო-ბალნეოსაშუალებათა გამოყენების დროს (წიწვიანი აბაზანები, მინერალური წყლის მიღება, ულტრამაღალი სიხშირის ელექტროველი და სხვ.).

ჩვენებები მკურნალობისათვის

I მკურნაობის მრავანობა დაავადებებში

1. ინფექციური წარმოშობის ქრონიკული ართრიტები.
2. მწვავე რევმატული პოლიართრიტის შემდგომი რეზიდუალური მოვლენები.
3. ტრავმული ართრიტები მწვავე და ქრონიკულ პერიოდში.
4. ენდოკრინული და ნივთიერებათა ცვლის მოშლის ნიადაგზე წარმოშობილი ართრიტები.
5. დეფორმირებული პოლიართრიტები.
6. სპონდილოართრიტების და სპონდილოზების მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმები.

II. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებში

1. მიოკარდიოდისტროფია კომპენსაციის სტადიაში და სისხლის მიმოქცევის I და II ხარისხის უკმარისობით.
2. კარდიოსკლეროზები: მიოკარდიტული და ათეროსკლეროზული წარმოშობის, კომპენსაციის სტადიაში და სისხლის მიმოქცევის I და II ხარისხის უკმარისობით (ლანგის მიხედვით).
3. გულის მანკები კომპენსაციის სტადიაში და სისხლის მიმოქცევის I და II ხარისხის უკმარისობით.
4. ჰიპერტონიული დაავადება I და II სტადიაში თავის ტვინის და გულის სისხლძარღვთა სკლეროზის მკაფიოდ გამოხატული მოვლენების და თირკმელების ფუნქციის დარღვევის გარეშე.
5. ანგიონევროზები.

6. თრომბოფლებიტები (მწვავე პერიოდიდან არა უადრეს სამი თვისა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III. ნერვული სისტემის დაავადებები

1. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები — ნევრიტები, ნევრალგიები, რადიკულიტები, პლექსიტები და სხვ.
2. ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები — ნევრასთენიული რეაქციები, ვეგეტოდისტონიები.

IV. გინეკოლოგიური დაავადებები

1. საშვილოსნოს, მისი დანამატებისა და ახლომდებარე ქსოვილების ქრონიკული ანთებითი პროცესები.
2. ოვარიული (საკვერცხეების) ფუნქციის დარღვევა (დისმენორეა, ამინორეა, ოლიგომენორეა) და ანთებითი პროცესებით წარმოშობილი ფალოპის მილების გაუვალობით გამოწვეული უნაყოფობა.

V. კანის დაავადებები

1. ნეიროდერმიტები, ქავანა დერმიტოზები.
2. ქრონიკული ეკზემა (მშრალი ფორმები).
3. ფსორიაზი.
4. პიოდერმიტები.

წინააღმდეგ ჩვენებები

1. ყველა დაავადება მწვავე პერიოდში.
2. გულის დაავადებები სისხლის მიმოქცევის II და III ხარისხის დარღვევით.
3. ყველა სახის ტუბერკულოზი.
4. ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებები.
5. მწვავე გინეკოლოგიური დაავადებები.
6. ყველა დაავადება, რომელიც საერთოდ წინააღმდეგნაჩვენებია კურორტზე სამკურნალოდ.

საზოგადოებრივი რედაქტორი პ. როფ. მ. ნოდია.
გამომცემლობის რედაქტორი გ. ქველამე.
ტექნორედაქტორი ბ. სიხარულიძე
კორექტორი ვ. კუპრაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/II—63 წ.
ქალაქის ზომა 84 × 108¹/₃₂.
ნაბეჭდი თაბახი 2,05.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 1,66.
საავტორო თაბახი 1,57.

უე 00327.

ტირაჟი 2000.

შეკვ. № 31.

ფასი 15 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.
Типография № 4, Тбилиси, Медгородок.

Шота Васильевич Мшвениерадзе
Лечение на Тбилисском бальнеологическом курорте
(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси — 1963

ნ. 305/249



ეროვნული
ბიბლიოთეკა

